საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000060209207823

№ 02-4-R **14 / თებერვალი / 2023 წ.**

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის ”უმაღლესი განათლების შესახებ” 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობისა და კრედიტების აღიარების პროცედურის წარმართვის მიზნით (საქართველოს კანონმდებლობისა და „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მობილობის, შიდა მობილობის/რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტთა მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის“ მიხედვით) შეიქმნას კრედიტების აღიარების ძირითადი კომისია და დარგობრივი კომისია შემდეგი შემადგენლობით ერთი წლის ვადით:

1.1.ძირითადი კომისია:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/კოორდინატორი:

- თეიმურაზ ელიავა - საშემსრულებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი, სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულება;
- ლიანა ხორბალაძე - კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

ბ) სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენლები:

- დავით ხავთასი - სასწავლო დეპარტამენტის უფროსი;
- თამარ ინაშვილი - სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი;

1.2 . დარგობრივი კომისია:

ა) საშემსრულებლო ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მიმართულებიდან/მოდულიდან აკადემიური პერსონალი(ები) ან/და ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირ(ებ)ი:

- თეა ბუაძე - საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, საკონცერტმაისტერო დაოსტატების მიმართულება;
- ავთანდილ რევიშვილი - ასოცირებული პროფესორი, საშემსრულებლო ფაკულტეტი, აკადემიური გუნდის დირიჟორობის მიმართულება;
- პაატა ებრალიძე - ასოცირებული პროფესორი, საშემსრულებლო ფაკულტეტი, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების მიმართულება;
- მერი ჟვანია - ასოცირებული პროფესორი, საშემსრულებლო ფაკულტეტი, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების მიმართულება;
- ირაკლი ევსტაფიშვილი - ასოცირებული პროფესორი, საშემსრულებლო ფაკულტეტი, საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების მიმართულება;

- გიორგი თაგაური - ასოცირებული პროფესორი, საშემსრულებლო ფაკულტეტი, საორკესტრო სიმებიანი საკრავების მიმართულება;
- თამარ ბულია - ასოცირებული პროფესორი, საშემსრულებლო ფაკულტეტი, საორკესტრო სიმებიანი საკრავების მიმართულება;
- სოფიო მურუსიძე - ასისტენტ-პროფესორი, საშემსრულებლო ფაკულტეტი, ჯაზის მიმართულება
ბ) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის
თითოეული მიმართულებიდან/მოდულიდან აკადემიური პერსონალი(ები) ან/და ხელშეკრულებით
მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირ(ებ)ი:
- ოთარ კაპანაძე - კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, ეთნომუსიკოლოგიის მიმართულება;
- ლეილა მარუაშვილი - პროფესორი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი, მუსიკის თეორიის მიმართულება;
- მაია (მაკა) ვირსალაძე - ასოცირებული პროფესორი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი, კომპოზიციის მიმართულება;
- ზურაბ ნადარეიშვილი - პროფესორი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი, კომპოზიციის მიმართულების ხელმძღვანელი;
- მაია სიგუა - ასოცირებული პროფესორი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი, მუსიკის ისტორიის მიმართულება;
- რეზო კიკნაძე - მოწვეული სპეციალისტი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი, მუსიკის ტექნოლოგიის მიმართულება;

1.3. სტუდენტის/სტუდენტების კრედიტების აღიარებას უზრუნველყოფს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ძირითადი და ის დარგობრივი კომისია, რომელ სპეციალიზაციაზეც გეგმავს სტუდენტი სწავლის გაგრძელებას;
1.4. კომისიის სხდომას წარმართავს თავმჯდომარე, ხოლო სხდომათა ჩანაწერებს უზრუნველყოფს მდივანი, რომლებიც აირჩევიან რიგით პირველ სხდომაზე. კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უბრალო უმრავლესობით. კომისიის თითოეული სხდომა აისახება ოქმში.
2. ბრძანების გადაგზავნა კრედიტების აღიარების ძირითადი და დარგობრივი კომისიის წევრებისათვის დაევალოს კონსერვატორიის საქმისწარმოების სამსახურს;
3. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.tsc.edu.ge;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. № 64)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე